ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ოქტომბრის ბიუროს მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 ნოემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2021 წლის 25 ოქტომბრის მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 23

დ. ხარაგაული
25 ოქტომბერი 2021 წელი

9 აპრილის ქ. #15

სხდომა მიმდინარეობდა ონლაინ ჩართვით
სხდომას თავმჯდომარეობდა მანანა ბარბაქაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

რუსუდან გიორგაძე -საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,

ოთარ ლურსმანაშვილი საკრებულოს იურიდიული,სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე,

დავით კიკნაძე საკრებულოს განათლების, კულტურისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ,

პავლე კიკალიშვილი საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე,

გივი თხელიძე ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

პაატა გოგოლაძე ფრაქცია ,,ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე,

აკაკი ლურსმანაშვილი - ფრაქცია **,, მოძრაობა ხარაგაულისათვის"** თავმჯდომარე.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები:
ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი,
მაია ალავიძე - - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,
საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:
არ ესწრებოდნენ

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, რომელმაც ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა,

დღის წესრიგი

1.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 ნოემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

საკითხთა ნუსხა

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონების აღრიცხვისა და მოვლა პატრონობის კუთხით მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მაია ალავიძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგისა და საკითხთა ნუსხის დამტკიცების თაობაზე ,

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე 8

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი და საკითხთა ნუსხა დამტკიცებული იქნა(თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის მოხსენება საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტის მესამე კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ

საკითხთან დაკავშირებით კითხვები არ დასმულა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 01 ნოემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე 8

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 01 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მ. ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ქონების აღრიცხვისა და მოვლა პატრონობის კუთხით მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

მ. ბარბაქაძემ, სხდომის თავმჯდომარემ, რომელმაც მომხსენებელს მიმართა კითხვით 2015 – 2017 წლიბში მერიაში დასაქმებულ მოხელეებს წაღებული აქვთ ძვირად ღირებული ნოუთბუქები და მობილური ტელეფონები, რა ბედი ეწევა მას, დააბრუნებენ თუ არა.

მ. ალავიძემ უპასუხა, რომ საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურს აქვს დეტალური ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით , ყველას მოეთხოვება დააბრუნოს ნივთი, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ მიმართ გატარდება კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხის 2021 წლის 01 ნოემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში შეტანასთან დაკავშირებით

კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდა ბიუროს 8 წევრი:

მომხრე 8

წინააღმდეგი 0

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 01 ნოემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკითხის განხილვა დაევალა საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს პავლე კიკალიშვილს კომისიის სხდომაზე.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. საკითხი შეტანილ იქნეს საკრებულოს 2021 წლის 04 ოქტომბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს 2021 წლის 01 ნოემბრის საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგი (თან ერთვის).

ამით ბიუროს სხდომის მიერ განსახილველი საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე